# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 53 კვირა, 8 მარტი 1909

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზზე 4 სააათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელში არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან დღევამდე 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისში ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



5 მარტს ქუთაისში გარდაიცვალა დეკანოზი

**სპირიდონ იოსელიანის ძე ფანცხავა,**

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი მაკრინე ოტიას ასული იოსელიანისა, შვილები—რომანოზ, ესტატე და იაკობი. გარდაცვალებულის ცხედარს კვირას, 12 საათზე, გაასვენებენ პეტრე-პავლეს ეკკლესიიდან სოფელ ხიდისთავში. (2—33.—2)

დარია ალექსანდრეს ასული და ლევან ლევანის ძე ჩერქეზიშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგთ, რომ კვირას, 8 მარტს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საყვარელ შვილის

**მიშა ლევანის ძის ჩერქეზიშვილის**

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი პანაშვიდისა 12 საათზე. (2—125—2)

წარმოდგენა № 4. ქართული თეატრი წარმოდგენა № 4

დილით დაკლებულის ფასებით

კვირას, 8 მარტს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა იუშკევიჩისა.

**მ ე ფ ე**

დრ. 4 მოქმედებად თარ. ალ. იმედაშვილის-მ ერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, კ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ჯ. გამყრელიძე. ვ. აბაშიძე, ნ. გვარამძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, გ. იმხნელი ი. ქიქიძე, შ. საფაროვი, ვ. შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი დაკლებულია. ✦ დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „აღლუმი“, «ოტელო», „ორი ჯიბგირი“, „ჩერჩეტი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

**ცირკი ძმ. ნიკიტინებისა**



კვირას, 8 მარტს, გახსნა ცირკისა. დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა სამ მოქმედებად. მონაწილეობას იღებს ცირკის დირექ. **ემმა ნიკიტინისა.** სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 11 საათზე ოთხი საინტერესო **ჭიდაობა**; იჭიდავებენ: 1. **გოოლდი** და **ტომაშევსკი**; 2. **პიერარ ლე-კოლოსი** და **ოსიპენკო**; 3. **მაისურაძე** და **მანფრედი ბუჩიონი**; 4. **პოსპეშილი** და **იოგანსონი.** დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

**მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ**

იყიდება საგანგებოდ, მეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ქქსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილეს დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სისარულიძესთან და გ. ციცაძესთან, ნავთლუღში—ა. ნიკოლაძესთან, კელენჯიხაში—იაკობ. შანავასთან. (23—121—2)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—74)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—74)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოებით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 112)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—26)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—113)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—7)

წარმოდგენა „ნემეცების კლუბში“

**„ქაჩალი არსენა“**

და

**„ორი ბმირი“**

დიდი რემონტისა გამო გადაიდო ორშაბათს, 30 მარტისათვის, 1909 წ. დაიწყობა შუადღის 12 საათზედ. (1—130—1)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსევსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორბალევიჩი**—შინაგ., ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ალ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—17)

**ყოველ კვირეული**

სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

**◀ იალქანი ▶**

გამოვა მარტის 15-დან ლევ. დადეშკელიანის რედაქტორობით. ჟურნალი ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მან. 60 კ. საზღვარ-გარეთ წლიურად 8 მან., ნახევარი წლით 5 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

რედაქციის დროებითი ადრესი: г. Тифлисъ. Типографія „Идеалъ“ для „ІАЛКАНИ“. ფულის გამოსაგზანი ადრესი: Тифлисъ Гунибская ул. дербентскій пер. д. N 3. редактору „Іалкани“ Л. Б. Дадишкеліани. (3—1)

**ჟურნალისტთა საზოგადოება**

„ტფილისის სობრანიეში“ კვირას, 8 მარტს, $12\frac{1}{2}$ ს. ო. ს. ბუკშტეინი წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლო**

ბილეთები 1 მანეთიდან 30 კაპეიკამდე. ბილეთის მიღება დარბაზში შესვლისასვე შეიძლება. (1—უ—1)

**იყიდება**

**მთელი კომპლექტი „ნიშადურისა“.** მსურველებს დაეთმობათ 4 მ. 50 კ. ადრესი: „დროების“ რედაქციის კანტორა. (3—1)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის**

**თანაშემწეობის აღმასრულებელი**

აუწყებს სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის მსესხებელ თავად-აზნაურებს, რომ ამ ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებიდან მიღებულ ცნობებით, მომავალ საჯარო ვაჭრობის დროს. გაზაფხულზე, მსესხებლებს არავითარი შეღავათი არ მიეცემათ, ამიტომ მათ უნდა იზრუნონ თავის დროზე ნედოიმკების შეტანისთვის. (3—ნ.—3)

**ყოფილი მაშინისტი ელექტრონის სადგურისა**

ეძებს შესაფერ ადგილს, იცის მოხმარება ყოველ გვარ კონსტრუქციის მოტორისა. იცის სასლესრო საქმე. ელექტრონის ზარების შეკეთება და ახლების მოწყობა. ელექტრონის სინათლის გაყვანა. ყოველგვარი საქმე ელექტრონისა. იკითხეთ „დროების რედაქცია“ში. (5—4)


## ტფილისი, 8 მარტი

უცხოეთის სოციალ-დემოკრატიული მწერლობა ამ ბოლო დროს განსაკუთრებულის ხალისით და ინტერესით ეკიდება მიწის საკითხს. ათიოდე წლის წინად გერმანიის წიგნის ბაზარზე გაჩნდა ცნობილი წიგნი დავიდისა „სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა“. დავიდის წიგნის გარშემო მთელი სპეციალური აგრარული ლიტერატურა შეიქმნა. წვრილ და მსხვილ მეურნეობის შედარებითი უპირატესობა ისეთ სადაო კითხვად გადაიქცა, რომელმაც ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაჰყო სოციალიზმის გერმანელი თეორეტიკოსები. მას შემდეგ ერთხანად მიწის საკითხი თითქოს ისევ მიივიწყეს, თუმცა კი სპეციალური გამოკვლევები შეუწყვეტლივ განაგრძობდნენ ეკონომიურ ანალიზს. წელს ამ საკითხს ახალის თვალსაზრისით შეხედა გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა მწერალმა არტურ შულცმა და აპირებს რამოდენამდე გაცივებული აგრარული საკითხი ხელახლა საყოველთაო ყურადღების ცენტრად გადააქციოს.

არტურ შულცის თვალსაზრისი საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი სცდილობს გამოარკვიოს აგრარულ ურთი-ერთობათა გავლენა ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების საერთო მიმართულებაზე. აქამომდე აგრარულ საკითხს საკუთრივ სასოფლო მეურნეობის ინტერესთა ფარგლებში არკვევდნენ, არტურ შულცი კი დიდ მნიშვნელობას აძლევს აგრარულ ურთი-ერთობას მრეწველობის განვითარებისთვის და საგარეო პოლიტიკის მიმართულებაში. არტურ შულცის წიგნს საპოლემიკო ხასიათი აქვს; თვით წიგნის სათაური „ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების ტენდენციები გერმანიაში“ გვიჩვენებს, რომ იმისი ავტორი საკითხს გაცილებით უფრო ფართოდ აყენებს, ვიდრე დავიდი და სხვა ცნობილი ავტორები. ამ წიგნში აგრარული ერთიერთობანი განიხილებიან როგორც დასაბამი საერთოდ განვითარების მთავარ ხაზებისა. არტურ შულცის წიგნში გაფანტულ სხვა და სხვა აზრთა შორის ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ შეხედულებამ, რომ მეტად მჭიდრო კავშირი არსებობს წვრილ მეურნეობის განვითარების და შრომის ბაზრის მდგომარეობის შუა.

მსხვილ სასოფლო მეურნეობის არსებობისთვის აუცილებელ საპირობას წარმოადგენს მოწვევება შრომის ბაზარზე მუშა ხელისა; მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, რა საშუალებითაც უნდა მოხდეს იგი, კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს სოფლის მსხვილ მეურნეობას და გზას უხსნის მის დანაწილებას წვრილ მეურნეთა შორის. უმიწაწყლოდ დარჩენილ ხალხის კოლონიზაცია უცხო ქვეყნებში ერთის მხრივ და მუშათა ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობა მეორეს მხრივ სოფლის მსხვილ მეურნეობას ხელიდან აცლის არსებობის მთავარ იარაღს. აქედან წარმოსდგება მსხვილ სასოფლო მეურნეობის კავშირი, რომლის დანიშნულებაც მუშა ხალხის დამყოფება მუდმივს გასაჭირში. რამდენადაც გაუმჯობესდება მუშათა მდგომარეობა, იმდენად უფრო უძლური გამოჩნდება სოფლის მსხვილი მეურნეობა წვრილ მეურნეობასთან ბრძოლაში. როცა მსხვილი სასოფლო მეურნეობა გასაჭირში იმყოფება, მაშინ იხსნება გზა შინაურ კოლონიზაციისთვის. შინაურ კოლონიზაციის აზრი არის წვრილ მეურნეთა კლასსის გაძლიერება.

ეს აზრი წვრილ სასოფლო მეურნეობის განვითარების და მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების შორის არსებულ კავშირის შესახებ ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნისთვის, სადაც ამ ჟამად მიწის მობილიზაციის პროცესსი სწარმოებს. ქართველ მუშებს კოლონიებში გადასახლება არ შეუძლიანთ, იმტომ რომ ასეთი კოლონიები ქართველებისთვის არ არსებობენ. ადგილობრივ სამრეწველო დაწესებულებებშიაც ერიდებიან ამ ბოლო დროს მათ. ამ მიზეზების გამო ქართველ მუშების მდგომარეობა უკანასკნელ წლების განმავლობაში დღითი დღე უკიდურესი ხდება. ამავე დროს საქართველოს თავად-აზნაურობა ჰკარგავს და საჩქაროდ ჰყიდის თავის მიწათმფლობელობის უფლებას. დღემდე პრესსაც და კერძო წრეებიც ვრცლად მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, რომ გლეხებმა შეისყიდონ მემამულეთა მიწები. ჩვენის აზრით ნაკლები სიკეთე არ იქნება მიწების შეძენაზე იფიქრონ ქართველმა მუშებმაც. ტფილისის მ დამოებში სახლის ჩასადგმელად მიწის შეძენისთვის დიდი ხალისი გამოიჩინეს ქართველმა მუშებმა 1906 და 1907 წლებში. რა თქმა უნდა, მარტო სახლის დასადგმელად სამყოფი მიწა ადამიანის ცხოვრებას ვერ უზრუნველჰყოფს. თითქმის იმავე ფასით, რა ფასითაც ქალაქ ადგილას ან იმის მიდამოებში სასახლის შეძენა შეიძლება, ადვილად მოხერხდება კაცმა სოფელში ისეთი ნაჭერი მიწა შეიძინოს, რომელიც სახლისთვისაც ეყოფა და შრომისთვისაც.

უსაქმოდ დარჩენილი მუშა კაცი რომ წვრილ სასოფლო მეურნეობას მოეკიდოს და ამისთვის სოფლად მიწა შეიძინოს, ეს არც გაბურჟუებაა და არც მუშათა საქმისთვის ღალატი. პირიქით, ეს ერთერთი ძლიერი საშუალებაა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამასთან არ შეგვიძლიან არ აღნიშნოთ, რომ ინტენსიურ მეურნეობის წარმოებას მუშა უფრო შეიგუებს, ვიდრე ტრადიციულ ექსტენსიურ მეურნეობის ჰაერს შეჩვეული გლეხი. რა თქმა უნდა, უმუშევრად დარჩენილ ქართველ მუშას არავითარი თანხა არ მოეპოვება მიწის სასყიდლად, მაგრამ თუ მიწის მობილიზაციის საკითხი ჩვენთვის მარტოდენ ეკონომიურს კი არა, არამედ ამასთან ერთად ნაციონალურს ინტერესს წარმოადგენს, ჩვენის ფიქრით მთელი ქართველი საზოგადოება უნდა ჩაერიოს საქმეში და ხელი გაუმართოს ყოველს ქართველს მიწის შესაძენად. ამ საქმეში ხელის გამართვას ორმაგი ღირებულება ექნება, სოციალური და ნაციონალური. საზოგადოების სხვა და სხვა წრეებმა შეიძლება სხვა და სხვა თვალსაზრისითაც შეხედონ ერთსა და იმავე პრაქტიკულს საქმეს, მაგრამ ეს მაინც დაბრკოლება არ უნდა იყოს შეერთებულ ძალღონით ასრულდეს ისეთი საქმე, რომელიც ყველას სასურველად მიაჩნია.

## ეკატერინე გაბაშვილისა

გაისს, 1910 წელს, პირველ იანვარს სრული ორმოცი წელიწადი სრულდება, რაც ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი ქალი ეკატერინე გაბაშვილისა სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს.

ორმოცი წელიწადი ისეთი დიდი მანძილია ერის მომავლისათვის, რომ ამ მოვლენის ღირსეულად დატოვება შეუძლებელია. ეკატერინე გაბაშვილისა პირველი ქალია ჩვენში, რომელიც სამწერლო ასპარეზზე ესოდენ ხანგრძლივად და ნაყოფიერად მოღვაწეობს. მწერლობის გარდა იგი დიდ მონაწილეობას იღებდა და იღებს ყველა საზოგადო საქმეში. თითქმის არც ერთი კულტურული საქმე არ დაწყობილა და გაკეთებულა ჩვენში, რომ ეკ. გაბაშვილისას თავისი ნიჭი და შრომა არ შეეწიროს.

თავის დროზე უფრო ვრცლად შევეხებით ეკ. გაბაშვილის მოღვაწეობას. აქ კი ორიოდე სიტყვით ავღნიშნავთ მის ბიოგრაფიას.

ეკ. გაბაშვილისა დაიბადა 1851 წელს 16 თებერვალს ქალაქ გორში. მამა მისი რევაზ თარხნიშვილი ქართველი მემამულე იყო, დედა ვახტანგ ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული. პირველი სწავლა მომავალმა ბელეტრისტმა მიიღო მოხუც მწიგნობარ მანდილოსნისაგან, შემდეგ იგი ინსტიტუტში უნდა მიებარებინათ, მაგრამ რადგან წლოვანებით დიდი იყო, ბარათ მიიღეს, ამიტომ კერძო (ფრანგ.) პანსიონში მისცეს. ეს პანსიონი კარგ სასწავლებლად ითვლებოდა. იქ მასწავლებლობდნენ: გულაკი, ცნობილი მეცნიერი, იუშკოვი—შემდეგში ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ინაშვილი—„მნათობის“ რედაქტორი, დედაბრიშვილი, ცაგარელი—ეხლანდელი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა და სხვანი. ამ ქართველმა მასწავლებლებმა შეასწავლეს ბავშვს ქართული ენა, შეაყვარეს სამშობლო კითხვა, გააცნეს წარსული და აწმყო საქართველოსი.

სწავლა გაათავა 1872 წელს და მალე გათხოვდა, მაგრამ მწერლობა უფრო ადრე დაიწყო. 1870 წელს დაიბეჭდა მისი პირველი სურათი. მას შემდეგ ეკატერინე გაბაშვილისას მრავალი რამ დაუწერია. მისი მოთხრობები, სურათები, დრამები და წერილები გაფანტულია სხვა და სხვა გაზეთსა და ჟურნალში. რამდენიმე მისი თხზულება ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ბიუჯეტი.**

6 მარტს დილის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო იმ მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, რომელსაც არა-პირდაპირ გადასახადებისა და არყის ვაჭრობის საქმე აბარია. უმთავრესი საკამათო საგანი, რასაკვირველია, არყის მონოპოლია იყო.

დიდი სიტყვა წარმოსთქვა ოქტომბრისტმა **ჩელიშევმა,** რომელმაც თითქმის ორი საათი ილაპარაკა. მან სხვათა შორის, სთქვა, რომ არც მთავრობას, არც სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ, არც სიფხიზლის კომიტეტებს და არც სხვებს ვისმეს გულ-წრფელად არ უნდათ რუსეთში ლოთობის მოსპობა. მთავრობა ხომ ყველაფერში ხელს უშლის ამ საქმეს. რუსეთში 300 სიფხიზლის საზოგადოებაა. ამას წინად ამ საზოგადოებებმა განიზრახეს თავის მოყრა, კრების მოწყობა და სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საგანზე მოლაპარაკება. ამათ უნდოდათ შეერთებულიყვნენ, რომ უფრო კარგად გამკლავებოდნენ ლოთობას. ითხოვეს კრების ნება-რთვა, მაგრამ მთავრობამ კრება ნაადრევად სცნო (ცხარე ტაში მარჯვნივ, ცენტრში და მარცხნივ). ამაზე მეტი უბედურება, ამაზე მეტი სირცხვილი შეიძლება: მთავრობამ ნაადრევად სცნო

ლოთობის მოსპობა. დასასრულ, ჩელიშევმა შეიტანა წინადადება—საბიუჯეტო კომისიის მოხსენება არაყის სავაჭროს ხარჯების შესახებ გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე განხილული იქნება 105 დეპუტატის მიერ 1908 წელს 6 მაისს სათათბიროში შეტანილი წინადადება. ეს წინადადება შეეხება ლოთობასთან ბრძოლას.

სხდომა შესწყდა და განახლების შემდეგ შეუდგნენ ჩელიშევის ზემოხსენებულ წინადადების განხილვას. ილაპარაკეს ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა ნოვიცკიმ, მეიენდორფმა, ლერხემ და სხვებმა. უმრავლესობამ შეუძლებლად სცნო ამ წინადადების მიღება, რადგან ხარჯთაღრიცხვა თუ არ დამტკიცდა, საქმე შეფერხდებაო.

**გეგეჭკორიმ** სთქვა: მთავრობა რყვნის ხალხს, ლოთობასავრცელებს და ამით ძირს უთხრის გლეხობისა და მშრომელ მასსის კეთილდღეობასაო. მან მხარი დაუჭირა ჩელიშევის წინადადებას.

**ტიმოლინმა** განაცხადა: მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს სოფლის საზოგადოებათა დადგენილებებს: სოფლის საზოგადოებებს არ უნდათ არყის დუქნები, მთავრობა კი ძალად ხსნის. ამით მთავრობა უკანასკნელ გროშებს აცლის ღარიბ-ღატაკებსაო.

**კუზნეცოვმა** სთქვა: ლოთობასთან ბრძოლა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც გლეხობა ფეთმპყრობელ მთავრობას და შეძლებულთა კლასის ძალას თავის შეერთებულ ძალას დაუყენებს და მედგრად შეებრძოლებაო.

ილაპარაკა ბევრმა სხვა ორატორმაც. სათათბირომ მიიღო საბიუჯეტო კომისიის ფორმულა.

ბოლოს შეუდგნენ მიწათ-მოქმედების მთავარ-მართებლის კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას, მ. გრამ როდესაც ჯერი კენჭის ყრაზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ სათათბიროში არ იყო კანონიერი რიცხვი დეპუტატებისა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მარტი

## სპარსეთი

**მაინის ფრანკფურტი.** „ფრანკფურტერ-ცეიტუნგს“ დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან: „ბაგეშაში, სადაც თვითონ შაჰი სცხოვრობს, ჯარი აჯანყდა შაჰის წინააღმდეგ. ზომებია მიღებული სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის ყაზარმების დასაცველად“.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ბენდერ-აბასიდან ატყობინებენ (ეს ქალაქი სპარსეთის ნაწილშია, სპარსეთის ზღვის ყურეში): „რევოლიუციონერებმა ხელთ ჩაიგდეს დამოჯნა და შეუდგნენ ქალაქის მართვა-გამგეობას. ხმა დადის, რომ ამათ მაგალითს აბუშებისა და ლინგის რევოლიუციონერებმაც მიჰბაძესო. ბენდერ-აბასის მცხოვრებნი რევოლიუციონერებს მიემხრნენ“.

**თავრიზი.** თავრიზს კვლავ ალყა არტყია. რახიმ-ხანი ჯულფისკენ უცხოელებს არ უშვებს. ღამ-ღამობით უაზრო სროლაა. მთავრობის ჯარი ცეცხლს უკიდებს ახლო-მახლო მდებარე სოფლებს, საიდანაც მცხოვრებნი წინდაწინვე გაიხიზნენ. შაჰის ბრძანებით, რახიმ-ხანმა ნება დართო, შეეკეთებინათ რუსეთის მხარეს ინდო-ევროპის ტელეგრაფი. ქალაქში დიდი ნაკლებობაა პურისა. ფუნთუშას სათობით სდგას მშიერი ხალხი. დიდი მიხლა-მოხლა და ჰყლეტაა.

**ლონდონი.** თავრიზიდან „დეილი მეილს“ ატყობინებენ, 5 მარტს ინდო-ევროპის ტელეგრაფმა მუშაობა განაახლაო.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** ზერანიკის ტომის შეიხმა სეიდ იახიამ სამხრეთ არაბეთში ხალხი ააჯანყა. თუმცა პირველ შეტაკების დროსვე ჯარმა აჯანყებულები დაამარცხა, მაგრამ შეიხს სხვა ტომებიც შეუერთდნენ. მექასა და მედინას შუა ადგილებში მცხოვრებნი აღელვებულნი არიან. გაიგზავნა ორი პოლკი.

**სტამბოლი.** ჩერნოგორიისა და სერბიის საზღვრებზე მცხოვრებმა ალბანელებმა დეპეშით მიასთხოვეს ოსმალეთის მთავრობას იარაღი იარაღი ალბანელებს მათის სიტყვით, თავის დასაცველად უნდათ.

## ბალკანეთი.

**ბერლინი.** გაზეთების სიტყვით, მიუნხენსა და ალტორში მცხოვრებ ავსტრიის ქვეშევრდომებმა ბრძანება მიიღეს, დაბრუნდნენ სამშობლოში და ჯარში შევიდნენ.

რეიხსტაგში სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს სამხედრო მინისტრმა სთქვა: ჩვენ მარცხნივ მდებარე სახელმწიფო არ აპირებს ომს; არ აპირებს ომს აგრეთვე ჩვენ მარჯვნივ მდებარე სახელმწიფოც. როგორც მე ვფიქრობ, ამისი მიზეზი ის არის, რომ გერმანიის იმპერიამ მტკიცედ დაუჭირა მხარი თავის მოკავშირეს, რომ ჩვენა გვყავს ძლიერი გერმანიის ჯარი. ვფიქრობ აგრეთვე, ჩვენი ჯარის წყალობაა, რომ ამ თვეში მშვიდობიანობაა. რა თქმა უნდა, თუ მეგობრული ურთიერთობა დამყარდება ჩვენსა და ინგლისს შორის, აგრეთვე ჩვენსა და საფრანგეთს შორის, მაშინ შეიძლება ჯარის შემცირებაზე ლაპარაკი ჩამოვაგდოთო. მინისტრმა, სხვათა შორის, სთქვა, თუ ჯარსა და ხალხს შორის სამწუხარო ურთი-ერთობა დამყარდა, დამნაშავე სოციალ-დემოკრატები იქნებიანო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატაში გრეიმ მომავალ კონფერენციის შესახებ განაცხადა: ინგლისის მთავრობა ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ საჭიროა, მანამ კონფერენცია შესდგებოდეს, სახელმწიფოები შეთანხმდნენ თუ რა საკითხები უნდა გაირჩეს კონფერენციაზე; ამის შესახებ მოლაპარაკება უკვე სწარმოებს. მეტის თქმა ეხლა არ შემიძლიანო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის სამხედრო საქმეთა კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი ახალ ჯარის კაცთა შესახებ. სამხედრო მინისტრმა უარჰყო ის ხმები, ვითომ ჯარის მობილიზაცია ხდებოდეს ავსტრიაში და განაცხადა, რომ მარტო ჯარის ზოგიერთ ნაწილებს ვამსგავსებთ და სხვა და სხვა ადგილებში გადგვყავ-გადმოგვყავსო.

**სტამბოლი.** ბერძნული გაზეთების სიტყვით, ავსტრიისა და სერბიის შორის ომი აუცილებელია. აქაურს ბირჟაზე ასეთი ცნობები ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

**ბელგრადი.** გუშინ საღამოთი, მეფის თავმჯდომარეობით, მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. ამბობენ, თათბირი ჰქონდათ იმაზე, თუ რანაირი პოზიცია უნდა დაიჭიროს სერბიამ ავსტრიის ახალ წინადადებების გამო.

**ბერლინი.** ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა რიფაატ-ფაშამ საუზმე გამართა, რომელსაც დაესწრნენ ბიულოვი, ფონ-შენი და იმ სახელმწიფოების ელჩები, რომელნიც ბალკანეთის კრიზისით არიან დაინტერესებულნი.

იმპერატორმა დღეს ხელმეორედ ინახულა ბიულოვი.

**ვენა.** პრესა გულდამშვიდებით ლაპარაკობს. „ნოიე-ფრეიე-პრესა“ სწერს: თუმცა ევროპის მშვიდობიანობას წინანდებურად დიდი ხიფათი [illegible] ძოელის, მაგრამ ომი ავსტრიასა და სერბიას შორის მაინც მოსალოდნელია. ვენაში დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფოები სერბიას ხელმეორედ ურჩევენ დამშვიდებულად იმოქმედოს. ავსტრიის პასუხი [illegible] ქრილი იქნება. ბირჟა დამშვიდებულ[illegible]ა პოესის ოპტიმიზმით და სამხედრო მინისტრის განცხადებით, რომ მობილიზაცია არა ხდებაო.

**ვენა.** ახალ ჯარისკაცთა კანონ-პროექტის შესახებ კამათის დროს ფინანსთა მინისტრმა გადაჭრილად უარჰყო ის ხმები, ვითომ მთავრობას განზრახვა ჰქონდეს თუ ომი მოხდა, შემნახველ კასების ფულს კონფისკაცია უყოს. ფინანსთა მინისტრმა სთქვა, არა მჯერა, რომ ომი მოხდეს და თუ ომი მოხდა, მთავრობა ხელსაც არ ახლებს კერძო კასათა ქონებასაო.

**ვაშინგტონი.** იტალიის ელჩმა სახელმწიფო დეპარტამენტს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის წინადადება გადასცა.

**ლონდონი.** დიპლომატიურ წრეებში არა სჯერათ, რომ ავსტრო-ჰუნგრეთმა საქმე ომამდის მიიყვანოს. ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის საერთო წინადადების ხასიათი ჯერ არ გამორკვეულა.

**კელნი.** „კელნიშე ცაიტ.“-ს ბერლინიდან ატყობინებენ: რუსეთის წინადადება უშენიშვნოდ არ შეიძლება დატოვოს, თუ სურთ რომ სერბია კარგ და გარკვეულ გზას დაადგეს. საქმის ვითარება იმდენად გამწვავებულია, რომ შესაძლებელია სულ რამდენიმე დღის შემდეგ ავსტრიის ჯარი სერბიაში შევიდეს. ჯერ კიდევ საკითხია, შეუძლიანთ თუ არა სახელმწიფოებს ხელი შეუშალონ სერბიის და ავსტრიის ომს. ასეა თუ ისე სახელმწიფოებს იმედი აქვთ, რომ თუ ომი დაიწყო, თვითონ არ ჩაერევიან.

## საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** „ტაიმ“-ს კალკუტიდან ატყობინებენ: როგორც პეშავლადან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, კაბულსა და [illegible]-ში ავღანისტანის ემირმა აუარებელი ხალხი დაატუსაღებინა. მიზეზი—ავღანისტანის ემირის, მისი მემკვიდრის და ემირის ოჯახის სხვა წევრების წინააღმდეგ შეთქმულების გამოაშკარავებაა. ხმა დადის, შეთქმულება განსვენებულ ემირის მეუღლემ ბიბი-ხალსმა მოაწყოო. ბიბი-ხალსმის შვილს ერთ დროს ზოგიერთები განსვენებულ ემირის მემკვიდრედ სთვლიდნენ. ჰფიქრობენ, რომ ემირისგან მიღებული ზომები მოსალოდნელ აღელვებას ძირიანად მოსპობენ. ემირი ამ ჟამად ჯელალ აბადშია, მისი მემკვიდრე კი—კაბულში.

**პარიზი.** ფოსტის გაფიცულ მოხელეების მაგიერ სალდათები მუშაობენ. ბევრმა მოეწველმა და ვაჭარმა წინადადება მისცა მთავრობას, გაფიცულ მოხელეების მაგიერ ჩვენი მოსამსახურეები ამუშავეთო. გაფიცულმა მოხელეებმა წინადადება მისცეს მთავრობას, სადიპლომატო დეპეშებს გავგზავნითო, მაგრამ აქ უარი მიიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## [illegible]

**პეტერბურგი.** [illegible] ფინანსთა მინისტრის ამხანაგი [illegible].

**კიევი.** პატარა მდინარეები და მთის ნაკადები ადიდდნენ, ნაპირებიდან გადმოვიდნენ და ბესარაბიის რკინის გზის შტოს დუნა ლიანდაგი სულ წალეკეს. წყალი დიდი თანდათან მატულობს. სადგურ მიენთან წყალი საშინლად ადიდებულა. საქონლის მატარებლის მიმოსვლა ჩერებულია, მგზავრების მატარებელს ჩერებენ ზოგიერთ ადგილებში და მგზავრებს სხვა მატარებლებით ისტუმრებენ,

**სიზრანი.** ფრანგი მოგზაური ოდენი გუშინ ფეხით ციმბირისაკენ გაემგზავრა.

**უფა.** ყაზანის სამოსამართლო პალატის სესიამ გარჩია საქმე მღვდელ გუსტოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა გავრცელება და მღვდელ მსახურების დროს ამბიონიდან ვიბორგის მოწოდების განმარტება ახსნა. პალატამ გუსტოვს სამი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

**ჩიტა.** პოლიციამ აღმოაჩინა სოციალისტ-რევოლიუციონერების არალეგალური სტამბა. ნახეს 15 ფუთამდე შრიფტი.

**ხერსონი.** წყალდიდობის გამო დაზიანდა ხიდი. ოდესა-ნიკოლაევს შუა ფოსტა აღარ მუშაობს. სადგურ კუჩუკანის მახლობლად, ტირ[illegible]სპოლის მაზრაში, მოდიდებულმა მდინარემ მოჰკლა [illegible].

**ანანიევი.** სანაპირო ქუჩაზე ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარემ წალეკა ორი სახლი. მცხოვრებლებმა დასცალეს ბინები.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა კასაციური საჩივარი გერაუშკინის, რომელსაც მოსკოვის სამოსამართლო პალატამ ექვსი თვით დაპატიმრება მიუსაჯა იმისათვის, რომ წინამძღვრობდა ერთ პოლიტიკურ დამნაშავის დამარხვის პროცესიას. პროცესიის დროს დემონსტრაციები მოახდინეს.

სენატმა გააუქმა განაჩენი პლოცკში მომხდარ ებრაელების აკლება აწიოკების შესახებ. ამ საქმის გამო 20 ბრალდებულიდან რვა გაამართლეს. გამართლებულთა საქმე გადაეცა ხელახლა სასამართლოს გასარჩევად.

**ტირასპოლი.** უცბად დაატყდა ხალხს უბედურობა. ადიდებულმა მდინარეებმა წალეკეს რამდენიმე სოფელი, წყალმა წაიღო დიდძალი საქონელი, სახლის ავეჯეულობა, ქონება და სარჩო საბადებელი, ზარალი დიდია. ტელეგრაფი გაფუჭებულია. კუჩკურგანთან ჩამოწვა რკინის კამარა. ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა. ზოგიერთი მატარებელი აღარ გაუგზავნიათ.

**იაროსლავლი.** მთელ გუბერნიაში ხოლერით სამი კაცია ავად, ამ უკანასკნელ

# ფელეტონი

* * *

ოჰ, ეჭვო, ეჭვო!

გეთაყვანები!

შენ ხარ გზად-მყვანი, უცხო ვარსკვლავი კაცობრიობის.

შენ არ იყავი, პირველ-ყოფილი ადამიანი კულტურამდე ჩამოიყვანე?!

რომ შენ არა, ვა ვერ გვასწავლიდა „ცნობადის“ ხილის ჭამას.

თვითონ სატანაც არ იქ ნებოდა ეგრე დიადი, ეგრე ზვიადი როგორიც ესლა არის ხალხისა და მის საუკეთესო მხსნების თვალში.

პრომეთეოსიც ვერ მოსტაცებდა მაშინ ღმერთებს ცეცხლს!

არისტოტელიც ვერ იტყოდა თავის სათქმელსა.

და თვითონ ქრისტეც ვერ გადასჭრიდა: მიუტევეთ თვით მტერსაცაო.

ვერც გალილეი დაიჩემებდა — მაინც ბრუნავსო!

და ვერც პასტერი ბაცილების კვლევას შექმნიდა...

ოჰ, ეჭვო, ეჭვო!

შენ იოანე ხარ წინამორბედი,

რომელიც იდუმალად და მომჯადოებლად ყურს ჩაგვჩურჩულებს:

„მოვალს ტარიგიო!“

მაგრამ ჩვენ არ ვიცით შენი მოხმარება, რადგან...

ორ-ლესული პირი გაქვს და...

ხშირად თავს ვიკოდავთ.

თუმცა მე მაინც გეთაყვანები,

დიდო ეჭვო,

წინამორბედო...

უფსკრული თავისუფლების!

**შალვა დადიანი.**

# მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ოსმალეთის პარლამენტი.—ევროპა.—ბალკანეთი.**

(შემდეგი *)

ბეგები და ბეგლარ-ბეგები განაგებდნენ მთელ სადროშოთა (სანჯაყ) ბედ-იღბალს. დაპყრობის დროს ჯარის უფროსებს ურიგდებოდათ მიწები, მთელი პროვინციებიც-კი და ისინი ხდებოდნენ ამ ქვეყნების ბატონებად, მხოლოდ უნდა ეძლიათ ხარჯი სულთანისათვის, შეიხ-ულ-ისლამისათვის, ცენუხების აღისათვის, გამოცხადებულიყვნენ იარაღით ომის დროსა და სხვ. სხვაფრივ ისინი თავისუფალნი იყვნენ ეტყვებინათ ხალხი (ჩაია), როგორც სურდათ და რამდენიც შეეძლოთ. დაპყრობით უნდოდა ოსმალოს შეეძინა სიმდიდრე და არა შრომით. ამიტომაც მთლად ერთიანად გაანადგურეს დაპყრობილი ქვეყნები და გამოსწოვეს მთელს ერებს სისხლი და ხორცი.

ქრისტიან ბავშვებისაგან შემდგარი ჯარი იანიჩარები— გადიქცა დიდ პრეტორიულთა ჯარად, რომელიც ხშირად ძირს ამხობდა ხოლმე თვით სულთნების ტახტს და ვინც უნდოდა იგი აჰყავდა ტახტზედ. ეს იანიჩარები იყვნენ მთელი აღმოსავლეთ-სამხრეთი ევროპისა და მცირე აზიის განმანადგურებელნი, და იმის მაგიერ რომ დაპყრობილთაგან რამე ესწავლათ, ან გამოეზოგათ მათი ენერგია ეკონომიურადა, ოსმალებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს მთელი ქვეყნები. ამით თავიანთ სიძლიერესაც ძირი გამოუთხარეს: ოსმალეთში დღეს მრეწველობაც არ არის, მიუხედავად ოსმალების ევროპაში 600 წელზედ მეტი ცხოვრებისა, მაშინ როდესაც მთელს ევროპაში ერთ ქვეყანასაც ვერ ნახავს კაცი, რომ ცოტათი მაინც არ იყოს განვითარებული რაიმე მრეწველობა. მართალს ამბობს ფრანგის მწერალი რენე პინონი (L'Europe et l,Empire Ottoman) რომ სტამბოლში რაც უნდა ძალალ ადგილას დადგე, ერთის ქარხნის ბოლსაც ვერსად დაინახავ, სამაგიეროდ სულ ჯამეების წვეტები გეჩხირება თვალშიო. ჯამეებით კი სახელმწიფო ვერ იცხოვრებს, როგორც იგი ჯვრებითა და ხატებით ვერ გაძლიერდება. თვით ოსმალოს ხალხი არ კადრულობს ვაჭრობასა და მრეწველობას. დილიდან საღამომდის კაფეში ზის და ნარგილეს უყარაულებს. ვისაც სამსახური, ან მამული, ან მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე აქ, ხომ კარგადა და მშვიდობიანად სცხოვრობს, მაგრამ ვინც ხელ-მოკლეა, იგი ყოველ საზარელ ხელობას კისრულობს, მაგალითად, ცრუ მოწმობას. ბევრს პროფესსიად აქვს თურმე გადაქცეული ცრუ მოწმობა, რადგან სასამართლოებში კაი ხანი არ არის თურმე მას აქეთ, რაც ქრისტიანის სიტყვა კანონით სარწმუნო არ იყო, მუსულმანისა კი მიჩნეულ იყო სარწმუნოდ. ამიტომაც ქრისტიანები იძულებულნი იყვნენ ტყუილისა და მართლის დროსაც მუსულმანი მოწამეები მოესყიდათ ხოლმე.

რამდენია კიდევ ასეთი მოვლენა ოსმალეთის ცხოვრებაში, ვინ მოსთვლის! ჯარის კაცების მოკრეფაში ფულით ვისაც უნდოდა, ის განითავისუფლებდა თავს. გადასახადების მოსაკრეფად გუბერნატორებისაგან იჯარით ჰქონდათ აღებული მთელი პროვინციები ვილაც თავზედ ხელ-აღებულ ყაჩაღებს გზებისა და რკინის გზების გაყვანის დროს რაც მოხელეებს მიჰქონდათ ფული, გზა კი არსად სჩანდა, ერთი წლის გასაკეთებელი გზა ხუთის წლის შემდეგ კეთდებოდა. ძალით აკეთებინებდნენ სოფლელებს გზებს უმეტეს ნაწილად და არას აძლევდნენ. მსაჯულები ისე ჰყიდნენ მართლმსაჯულებსა, როგორც ბაზარში ხილი გაჰყიდო, აგრეთვე მოწმები სიმართლესა. პროვინციები ზოგი პრივილეგიითი იყო აღჭურვილი, ზოგი მთლად მიწასთან გასწორებული. ერები ზოგი ავტონომიურად მცხოვრებნი, როგორც ბერძნები, ზოგი კი ნახევრად უკვე ამოჟლეტილი, როგორც სომხები და სხვა, და სხვ,—აი როგორი იყო ოსმალეთის სურათი მაშინაც კი, როცა ფეოდალიზმი ფორმალურად მოისპო, როცა იმდენი რეფორმები სცადეს ოსმალეთის საუკეთესო სულთნებმა და ენერგიულმა კაცებმა, როგორნიც იყვნენ, მაგალითად, კუპრელები და სულ ბოლოს მიდხად-ფაშა. ვერც იანიჩარების მოსპობამ, ვერც ქრისტიანთა და მუსულმანთა გაერთიანების ცდამ, ვერც ჯარისა და ფლოტის განახლებამ, ვერც ფინანსთა მრავალმა რეფორმებმა, ვერც თვით აბდულ-მეჯიდის „ტანზიმატმა“ ვერა უშველა რა ოსმალეთს. ამიტომ იყო, რომ მიდხად-ფაშამ შეიმუშავა კონსტიტუცია: იგი ჰხედავდა, რომ ვერავითარის რეფორმით ვერას გაჰხდებოდა ოსმალეთის მთავრობა, თუ თვით საფუძველი არ შეიცვლებოდა პოლიტიკურ ცხოვრებისა. მაგრამ, როგორც ვიცით, აბდულ-ჰამიდმა უღალატა კონსტიტუციას და ოცდაათი წელიწადი ოსმალეთი კიდევ უარესს მდგომარეობაში ჩავარდა. მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ ეღირსა ისევ თავისუფალი რეჟიმი ოსმალეთს. და ეხლა მუშაობენ მისი შვილები სამშობლოს განახლებისათვის.

მაგრამ დღესაც არის ის ოთხივე „სახრავი“: 1) სამხედრო, რომელიც კერძი იყო მინისტრებისა, პრეფექტებისა და ოფიცრებისა. მხოლოდ ღარიბი და ისიც მარტო მუსულმანი გაჰყავდათ ჯარისკაცად, ამსახურებდნენ დანიშნულ დროზედ უმეტესს და შიმშილითაც ჰკლავდნენ. რასაკვირველია, იგი ან იღუპებოდა და ან ყაჩაღობდა. სხვათა შორის ამით ისარგებლეს ახალ-გაზრდა ოსმალებმა და ააჯანყეს ჯარი. ქრისტიანების ჯარში გაწვევა ხშირად იყო ხოლმე დადგენილი, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოახერხეს. და ამ პირველი „სახრავის“ რადიკალურ მოსასპობლად უნდა იმუშაოს ეხლა ოსმალეთის პარლამენტმა, რომ ჯარის მოკრეფის თაობაზედ ლამაზი კანონები კი არ გამოსცეს არამედ შეასრულებინოს კიდეც აღმასრულებელ ძალას, რაც დადგენილია. 2) „სახრავია“ სასამართლოს საქმეთა: მიუხედავად იმისა, რომ მოისპო კანონით ქრისტიანების მოწმობის აკრძალვა სასამართლოებში, ქრისტიანს მაინც არ უჯერებს სასამართლო. დღესაც ასეთია ეს უსამართლობა. პარლამენტს მართებს მაშასადამე ყოველი ღონისძიება იხმაროს გამოჰყოს სრულიად მართლმსაჯულება სჯულისაგან, შეიმუშაოს სპეციალური კანონები მსაჯულთა დანიშვნისა, ჩვენების ჩამორთმევისა და მთელი სასამართლო პროცედურის შესახებ, რომ მოსპოს ერთხელ და სამუდამოდ ეს საშინელი ნაკლი ოსმალეთის საზოგადოებრივობისა, რომელიც შეუძლებლად ჰყოფს განსაკუთრებით ქრისტიანთა ცხოვრებას ოსმალეთში. 3) „სახრავი“ გზების გაყვანის დროსა და 4) „სახრავი“ გადასახადების აღების დროსა, რომლებზედაც ზევითა ვთქვით: ეს ყველაზედ უფრო საშინელი მოვლენაა ოსმალეთისათვის, მთელ სოფელთა განმანადგურებელი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ადვილი მოსასპობიც, თუ კანონმდებლობა კარგ საფუძველზედ დააყენებს პროვინციების ადმინისტრაციას.

ბოლოს ერთი რამ უნდა მივუმატოთ ზემოხსენებულსა. ოსმალეთის წინაშე ერთი უდიდესი პრობლემა სდგას, რომლის გადაწყვეტაზედ დამოკიდებულია ძლიერ დიდ და ღრმა რეფორმების ცხოვრებაში გატარებას. ეს არის პრობლემა სინიდისის თავისუფლებისა. სინიდისის თავისუფლება, რასაკვირველია, როგორც ზემოდა ვთქვით, ერთ აუცილებელ პირობათაგანია საერთო თავისუფლებისა ყველა ქვეყანაში, მაგრამ განსაკუთრებით ოსმალეთში აქვს მას დიდი მნიშვნელობა, რადგან აქ საუკუნოებით ებრძვიან ერთმანეთს ისლამი და ქრისტიანობა. ამასთანავე ისლამზედ ფართოდ არის დამყარებული მთელი ოსმალეთის საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ამით იგი დიდ უხერხულობას ჰბადებს იმ ქვეყნის მართვა-გამგეობისას, სადაც ნახევარი თითქმის ქრისტიანობაა. მართალია ოსმალეთის პარლამენტი კანონებს არ დაიშურებს ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის, მაგრამ ცხოვრებაში კი განხორციელდება სასურველი რეფორმა? არა მგონია. და თუ არა, მაშ რაღა თავისუფლება და რეფორმაა ოსმალეთში შესაძლებელი? მხოლოდ ცალმხრივი და არა სრული. აი წინააღმდეგობა, რაიცა კარგს არას დააყრის ოსმალეთს, ჩვენდა საუბედუროდ.

ეს არის, მოკლედ, ოსმალეთის პარლამენტის მომავალ მუშაობის საგანი. ჯერ სულ მცირე ნაბიჯი წარსდგეს წინ, მაგრამ მომავალში ვინ იცის, იქნებ დიდი რეფორმები განახორციელონ. რუსეთში სათათბიროს შესახებ მხოლოდ თავს იტყუებდა ყველა. დიდებული რაღაც ეგონათ, მაგრამ არაფერი გამოივიდა. არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო. ამას დიდი წინასწარმეტყველება არ უნდოდა. პარლამენტი რუსეთისა არის რევოლიუციის ნაყოფი, მაგრამ რეაქციისაგან დაზრული. რუსეთის პარლამენტი—დათმობა იყო. ეს კიდევ რა,—რუსეთის პარლამენტი მაშინ შეიკრიბა, როდესაც მთელს რუსეთში რევოლიუცია დამარცხდა, რეაქცია გამეფდა და სამხედრო წესები გამოცხადდა დედა-მიწის მეექვსედ ნაწილში! სწორედ ამ დროს მუშაობს „საკანონმდებლო“ სამი კრება და უკვირთ — ვერას აკეთებს რუსეთის

*) იხ. „დროება“, N 52.

[illegible] დღის განმავლობაში ხოლერით ავად [illegible]ავინ გამოდარა.

**კიშინევი.** ბესარაბიაში წყალი საკვირველად მოდიდდა. კიშინევი გარშემორტყმულია წყლით. სამი დღეა, რაც ფოსტა [illegible] მოსულა. დნეპრის ქვევითა ნაწილში ყინული დაიძრა. ეშინიათ დიდ წყალდიდობისა. დუნაიზე ყინული დაიძრა. გემები სწრაფად გადასატან საქონელს აღარ [illegible]ღებენ.

**პეტერბურგი.** სენატის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა სენატორ გარინის მოხსენება მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკ რეინბოტის და იმის თანაშემწის კოროცკის შესახებ. სენატის პირველი დეპარტამენტი დაეთანხმა სენატორ გარინის აზრს და დაადგინა, სამართალში მისცეს რეინბოტი და კოროცკი. ჯერ-ჯერობით მათი საქმე გამომძიებელს გადაეცემა.

ამავე დეპარტამენტმა განიხილა დორპატის უნივერსიტეტის რექტორის პასსეკის საქმე. რეზოლიუცია ხვალ.

დაიწყო ადგილობრივ მეურნეობის საბჭოს გაზაფხულის სესსია. კრება გახსნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კრიჟანოვსკიმ. საბჭო გაიყო სამ კომისიად: სამაზრო რეფორმისა, საგზაო და ეროვნულ საურთიერთო დაზღვევისა.

ქალაქში დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 7 კაცი. არავინ გარდაცვლილა.

[illegible] ახალი დადგენილებით, საზღვარგარეთ სასწავლებლის [illegible] ... არა ... სასულიერო წოდების ... შვილები სასულიერო სასწავლებლებში უპროცენტოდ მიიღონ.

# წერილი სპარსეთიდან

**სპარსეთის ასტარა.** სპარსეთის ასტარაში პირველ მარტს დილით ამბავი მოვიდა, რომ არდებილის გუბერნატორის რაშიდ-იულ-მულქის მეთაურობით ასტარაში მოდის შაჰის ჯარი, რიცხვით სამი ათასი კაცით. რაშიდ-იულ-მულქს უნდა თურმე დაამარცხოს ჰუსეინ-ალი-ხანი და ასტარის „მადალი" [„მაღალი"] ხელახლა დაუქვემდებაროს შაჰს. მალე ეს ხმები გამართლდა: 1 მარტს საღამოთი ჩამოვიდნენ არდაბილიდან მოსაზღვრე კომისარის თარჯიმანი თაგიევი და კონსულის მიკრიკი, რომელთაც ზემოხსენებული ამბავი შემდეგის სიტყვით დაადასტურეს: „არდებილის გუბერნატორს თავრიზიდან დეპეშა მოუვიდა, რომ შაჰის ჯარმა აიღო ნაწილი თავრიზისა. ამ ამბით*) გათამამებულმა არდებილის გუბერნატორმა გადასწყვიტა ასტარის მადალის ხელახლა დაბრუნება და შემდეგ რეშტში გამგზავრება იქაურ რევოლიუციონერებთან შესაბრძოლებლად. ჩვენ რომ არდებილში ვიყავით, უკვე შეგროვდა 3000 მეომარი მეტი. ამ მეომართ მეთაურობენ სპარსეთში ცნობილნი შამედ-უული-ხანი, რიზაკულლი-ხანი და სარიმ-სალთანე. ეს ჯარი უკვე წამოვიდა ნამინისაკენო."

გაიგეთ თუ არა ეს ამბავი, ჰუსეინალი-ხანი იმ წამსვე შეუდგა სამზადისს მტრის დასახვედრად. მოითხოვა ოჯახიდან ორი თოფი (ესე იგი ოჯახიდან ორი მეომარი). საშიშო ადგილებში გამართა ბარიკადები, სანგრები, ასაფეთქებელი ნაღმები და მოსწყო ხიდები. შემდეგ, შერალი-ხანის მეთაურობით დასტოვა ასტარაში 1500 მეომარი, ხოლო თითონ 1500 მეომრით გაემგზავრა ჰეირანში,**) სადაც ორ მარტს კარგი სიმაგრეები მოაწყო. ჰეირანის გზა საუცხოვოა მტრის დასახვედრად. იგი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს. ერთის მხრით უვალი მთაა აყუდებული, ხოლო მეორეს მხრივ, ქვევით, ორიალო მთის ძირში, ვიწრო ბილიკია, საიდან, თუ რუსის საზღვარს არ გადავიდნენ, [illegible] უნდა გაიარონ ასტარაში მიმავალმა ჯარმა. აი ამ ჰეირანის გზას ვერ ასცდება შაჰის ჯარი, თუ რუსეთმა ნება არ დართო, რომ რუსეთის საზღვარზე გადავიდეს.

ორ მარტს გავიგეთ, რომ გუბერნატორის რაშიდ იულ-მულქის ჯარი უკვე ნამინის ქალაქში მივიდაო. გუბერნატორი იქაც შესდგომია მეომრების მოგროვებას და თავის ჯარის გადიდებას. ასტარლები დღეს დიდ შიშში არიან, რადგან თუ ძლევამოსილნი იქნებიან, იმ შემთხვევაში დაუზოგველი მტერი მთელ ასტარას და ასტარის მადალს გაანადგურებს და მიწასთან გაასწორებს. ამისათვის, ვინც უძლურია, გადადის რუსეთის მხარეს, ხოლო ვისაც იარაღის ტარება შეუძლიან, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, ემზადება, რომ გაუმკლავდეს და ცოცხლად არ დანებდეს მტერს.

რუსის მხარესაც დიდი ჩოჩქოლია. სპარსეთის ქალაქი ასტარა და რუსის ქალაქი ასტარა 200 საჟენის სიშორეზეა ერთმანეთზე, ასე რომ თუ ომი ასტუდა, ცეცხლი არც რუსის ასტარას ასცდება. რუსის ასტარაში ხმა გავარდა, რომ გუბერნატორი რაშიდ-იულ-მულქი ნებას დაუკითხავად უშველად გადმოვა საზღვარს, რუსეთის სადარაჯო გზით მოვა რუსის ასტარაში და მერე აქედან შეესევა სპარსეთის ასტარასაო. რადგან ეს შესაძლოდ სცნო რუსის ადგილობრივმა მთავრობამ, ლენქორანის მაზრის უფროსი ორ მარტს რამდენიმე ბოქაულის თანხლებით მოვიდა ასტარაში და დაათვალიერა ადგილები. მან, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობა აღძრა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა და საზღვრების დასაცველად ჯარი გამოიგზავნოს.

*) როგორც ვიცით, შაჰის ჯარს არავითარი ნაწილი თავრიზისა არ აუღია.

ამჟარაა, არდაბილის გუბერნატორისთვის ცრუ ამბავი უცნობებიათ შაჰის მომხრეებს.

**) ჰეირანი ასტარიდან არდაბილის გზით 40 ვერსზეა.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 7 მარტს ღამე პოლიციის მე-6 ნაწილში პოლიციამ რამდენიმე ქუჩის მცხოვრებნი გაჩხრიკა. დაპატიმრებულია 26 კაცი. ამავე ღამეს მე-9 ნაწილში გაჩხრიკეს ნარიკის ალმართი და [illegible] მანოვის ქუჩები და აქედან 42 კაცი წაიყვანეს.

✦ **ტფილისელი მალაკნები.** „კასპი" ტფილისიდან ატყობინებენ: „ფეფელოვის მოკვლის გამო (ფეფელოვი მალაკანი იყო) მალაკნებს გადაუწყვეტიათ „ტფილისის [illegible] ტულ საზოგადოებაში" ჩაეწერნენ. აქამდის მალაკნების „პატრიოტულ საზოგადოებას" ერიდებოდნენ.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოება.** დღეს, 8 მარტს, „ტფ. სობრანიეს" სადგომში, ტფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების ინიციატორობით ბ-ნ ო. ს. ბუკშტეინი წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო". ლექცია დაიწყება შუადღის $12^1/_2$ საათ.

✦ **კვირა უქმე დღეები სახალხო სახლში.** ტფ. ქალაქის გამგეობამ აცნობა სახალხო უნივერსიტეტს, რომ კვირა-უქმე დღეები საუნივერსიტეტო სახლს. დაეთმობა ლექციებისა და წარმოდგენებისათვის.

✦ **დალაქების კრება.** 5 მარტს მოხდა ტფ. დალაქების კრება. ლაპარაკი იყო კვირაობით სადალაქოების დაკეტვაზე. კრებაზე ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთნი ამტკიცებდნენ კვირა დღეს სადალაქოების გაღების აუცილებლობას, მეორენი-კი წინაამდეგნი იყვნენ ამისა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ფარულის კენჭის ყრით, ხმის უმეტესობით გადასწყდა, რომ კვირა დღეობით დაიკეტოს სადალაქოები, როგორც ეს დღემდე იყო. ამასთან კრებამ დაადგინა, გადაწყვეტილების დამრღვევი პირველად დაჯარიმებულ იქმნას 3 მანეთით, მეორედ 5 მ., მესამედ 10 მ. ეს ფული სახელოსნო სამმართველოს გადაეცემა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 8 მარტს, სახალ. უნივერსიტეტის ინიციატორობით, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში გიმნაზიის მასწავლებელი კ. სივკოვი რუსულად წაიკითხავს ლექციას: „აბრამ ლინკოლნი და მონების განთავისუფლება ამერიკაში". ფასი 5 კაპ. 10 კაპეიკამდე. დასაწყისი დილის 11 საათზე. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შეცდომით გვქონდა გამოცხადებული, რომ ამ ლექციას სივკოვი წაიკითხავდა გუშინ, შაბათის ლექცია დღეისათვის არის დანიშნული.

✦ **მეცხვარეთა ამხანაგობა.** როგორცა ვწერდით, ტფილისის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა, დაარსოს მეცხვარეთა ამხანაგობა. ამხანაგობას აზრად ექნება მეცხვარეთა შეერთება ეკონომიურს ნიადაგზე. ამხანაგობა მიიღებს და კარგ ფასად გაუყიდის მეცხვარეებს მატყლს, ყველს და სხვას. წესდების პროექტით, იმ მეცხვარეს, ვისაც 100 სული ცხვარი ჰყავს, საწევრო ფული გადაჰხდება 5 მან., ვისაც 300 სულამდე—10 მან. და ასე უდიდესი საწევრო ფული 500 მან. უნდა შეიტანონ საამხანაგო კასაში იმ წევრმა, ვისაც 10,000 სული ცხვარი ჰყავს. მალე საზოგადო კრება მოხდება.

✦ **პანაშვიდი მიშა ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად.** დღეს, 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მიშა ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, სტუდენტი მიშა ჩერქეზიშვილი გარდაიცვალა შარშან ამ დროს საზღვარ-გარედ, სადაც იგი სატუსაღოდან განთავისუფლების შემდეგ წავიდა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ხვალ, 9 მარტისთვის დანიშნულია გაგრძელება ტფ. საბჭოს 2 მარტის მორიგი სხდომისა. განსახილველია 17-მდე საქმე. სხვათა შორის საბჭომ უნდა განიხილოს სასმელ დუქნების პატრონთა შუამდგომლობა დაკეტილ დუქნების ხელ-ახლა გაღების შესახებ.

✦ **პატრონები.** ნიკოლოზის ქუჩაზე 6 მარტს დააპატიმრეს ეტლით [illegible] სპარსეთის ქვეშევრდომი [illegible], რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა 6000 პატრონა სამხაზიან თოფისა.

✦ **მუშების საჩივარი.** სინოდს განუხილავს ძმების მილოვების ბაქოს ქარხნის მუშების საჩივარი. მუშები სჩივიან თურმე, რომ რამდენიმე წელიწადია ჩვენ სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს ვერ ვკმაყოფილებთ, რადგან მილოვები ნებას არ გვაძლევენ მღვდელი მოვიწვიოთ. სინოდს გადუწყვეტია, ყველაფერი ეს ბაქოს გუბერნატორს აცნობოს, ხოლო ეპისკოპოს გრიგორისთვის მიუწერია დაუყონებლივ გაუგზავნე მუშებს მღვდელიო (კასპი)

✦ **თავის მოწამვლა.** 6 მარტს საღამოთი გოგოლისა და ფეიერვერკის ქუჩების კუთხეში პოლიციამ აიყვანა გრძნობა დაკარგული ქალი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მოსულიერების შემდეგ ქალმა განაცხადა, განჯელი ვარ, ანნა გუზგუნაშვილი და თავი მოვიწამლე, რადგან ცხოვრება გამიჭირდაო.

✦ **წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილება.** როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, იქ. განზრახვა აქვთ თურმე დაარსონ ქიზიყისათვის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება.

✦ **განყოფილებანი.** შორაპნის მაზრის დაბა ჩხარში კავკასიის ლომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ დაარსა თავის განყოფილება. საქველმოქმედო საზოგადოება თავის განყოფილებას აარსებს აგრეთვე დაბა საჩხერეში, ცხინვალში და სხვაგან.

✦ **რევიზორი „ესპერანტოს" ენაზე.** როგორც გავიგეთ, მარტის შუა რიცხვებში ესპერანტოს ენაზე წარმოდგენილი იქნება ტფილისში გოგოლის ცნობილი კომედია „რევიზორი".

✦ **ალმანახი „ყანა".** ხვალ, რვა მარტს გამოვა სალიტერატურო და სამეცნიერო ალმანახი „ყანა" შემდეგის შინაარსით: „იდეიური ხაოსი".—„ყანა", ლექსი.—„კოოპერატიული მოძრაობა".—ბალკანეთი.—შინაური ცხოვრება.—ქართული პრესსა.—ფიქრები.—ახალი ამბები. ნომერი ეღირება შაურად.

✦ **ქართული წარმოდგენა.** გავახსენებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა იუშკევიჩისა „მეფე". წარმოდგენა დანიშნულია დილის 12 ს. და ფასებიც ძლიერ დაკლებულია. მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

✦ ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, დააპატიმრეს ჩიგირინის მაზრის მცხოვრები გრიგოლ ჩორნი, რომელსაც გაჩხრეკის დროს რევოლვერი აღმოაჩნდა.

✦ **„ფასკუნჯი"** გამოვიდა „ფასკუნჯი" მე-10 ნომერი შემდეგის შინარსით: ი. ევდოშვილის „ღრუბელი".—დ. მეგრელის „შავ-ყორანი".—ა. შანშიაშვილი „ჩემი მამული".—დ. ლუკაშვილის „დღეობაში", მალაქიაშვილის „სიხარულით მიაბიჯებდა მინისკენ".—კ. აბაშიძის „ვაჟაფშაველა".—ჰაინეს „ჩრდილოეთის ზღვა", თარ. ა. სარაჯიშვილისა.—გრ. ყ—ძის ვ. ყიფიანს დრამა სამეგრელოს მთავარი ლევან".—ახალი ამბები.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ სხვა და სხვა მიზეზისა გამო, 8 მარტისათვის დანიშნული წარმოდგენა, რომელიც დანიშნული იყო დრამატიულ კურსის სადგომში, გადაიდო 12 მარტისათვის ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოთ.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **კიდევ რეპრესიების შესახებ.** თავად-აზნაურთა 22 თებერვლის თათბირის შედეგი უფრო და უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს. თავ. დ. ა. მიქელაძისა და ნ. ყ. თავდგირიძის გარდა, რომელთაც ვიატკის გუბერნიაში ასახლებენ, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროდან იგზავნებიან სამხედრო წესების მოხსნამდის: დ. ბ. მდივანი, თავ. კ. გ. აბაშიძე, თავ. დ. გ. წულუკიძე და თავ. ი. ბ. ნიჟარაძე. საზოგადოებას ვერ აუხსნია, რამ გამოიწვია გენერალ-გუბერნატორის მხრით ასეთი სასტიკი ზომები. მით უფრო გასაკვირველია ასეთი სისასტიკე, რომ სხვაგანაც ჰქონდათ თავად-აზნაურთ კრებებს თათბირი იმ საკითხის შესახებ, რომელმაც ქუთაისში ასეთი გაზვიადებული სახე მიიღო, მაგრამ ამისი მსგავსი არსად არაფერი გამოუწვევია.

✦ **მასწავლებლის დანიშვნის შესახებ.** ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის დაუყოვნებლივ დანიშნოს ქალაქის ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლის გამგე, ნაცვლად ვ. ა. ბურჯანაძისა, რომელსაც გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გადაწყვეტილი აქვს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლება. რამდენადაც ვიცით, ბ-ნს ბურჯანაძეს სამედიატორო სამართალში ჰყავდა გამოწვეული ქალაქის სკოლების ზოგიერთი მასწავლებელი იმ ბრალდების გამო, რომელიც აღნიშნული იყო „დროების" ერთ-ერთს ნომერში. თუ გენერალ-გუბერნატორის განკარგულება სისრულეში მოვიდა, ბ-ნს ბურჯანაძეს შეძლება აღარ ეძლევა სამედიატორო სამართალს დაესწროს.

✦ **ავტომობილები.** ფრანგთა კომპანიას ზუგდიდსა და ახალ-სენაკის შუა ავტომობილების მიმოსვლა მოუწყვია. ავტომობილები გადიან და მოდიან რკინის გზის მატარებლების მოსვლის დროს.

# ბალკანეთი

**ავსტრია საომრად დაემზადა.**

ავსტრიამ 5 მარტს მობილიზაცია მოახდინა არმიის 7 კორპუსში. არმიის მე-15 კორპუსი, რომელიც ბოსნიის საზღვარზე დგას, სრულად დაამზადეს საომრად.

გალიციაში რუსეთის საზღვარზე მეციხოვნე ჯარებს 200 ათასი ჯარის კაცი მიუმატეს, რომ რუსის ჯარი მოულოდნელად არ შემოიჭრას ავსტრიაში.

ავსტრიის ესკადრას, რომელიც ჩვეულებისამებრ ლევანტის ზღვისაკენ უნდა წასულიყო, ებძანა ადრიის ზღვაში დაბრუნდეს და იქაურ ნავთ-სადგურებს არ მოშორდეს.

ქალ. ტრიესტიდან ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს, რომ იქ ნავთსადგურს ახლო დგას ავსტრიის და ჰუნგრეთის 20 გემი, რომლებმაც უნდა წაიღონ სამხედრო მასალა. ეს გემები წაიღებენ კარვებს, ზარბაზნებს და საკვებ სურსათს. ამ დღეებში ეს გემები ზღვაში გავლენ და გაემართებიან ტეოდოში, კატაროს ახლო, სადაც ავსტრია უზარმაზარ სამხედრო საწყობს ჰმართავს.

**გერმანია საომრად ემზადება.**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ამაღელვებელი ხმები გავრცელდა. საქმეში ჩახედული დეპუტატები ირწმუნებიან, რომ გერმანიის ჯარს რუსეთის საზღვარზე საომრად ამზადებენო.

**რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს.**

რუსეთის მთავრობამ აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომ თუ სერბიასა და ავსტრიას შორის ომი დაიწყო, რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

**იომებს თუ არა რუსეთი.**

ცნობილი იტალიელი ფინანსისტი ლუცატი ამტკიცებს იტალიურ გაზ. „კორიერა დელა სერა"-ში, რომ რუსეთი ამ ჟამად ვერ იომებს, რადგან ფული არა აქვსო.

სამაგიეროდ ცნობილი ფრანგი დიპლომატი განოტო სწერს ფრანგულ გაზ. „ჟურნალ"-ში, რომ მართალია რუსეთს ეხლა ახლა არ შეუძლიან და არც თითონ სწადიან ომი, მაგრამ ვინ იცის როგორ წავა საქმეო. იქნება რუსეთი ეხლაც ისე ჩაითრიონ ომში, როგორც იაპონიამ ჩაითრია 1904 წელს, თუმცა რუს-ხელმწიფეს არც მაშინ უნდოდა ომიო.

**ჩერნოგორიის მუქარა.**

4 მარტს ჩერნოგორიის სამხედრო საბჭომ, ყველა მინისტრისა და სარდლის მონაწილეობით, დაადგინა: ვთხოვოთ რუსეთს, ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას, რომ ავსტრიას ძალა დაატანონ და დაუყოვნებლივ შეასრულებინონ ჩერნოგორიის მოთხოვნა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩერნოგორიის მთავრობა იძულებული იქნება ხალხის მოთხოვნას დაემორჩილოს და ომი გამოუცხადოს ავსტრიასაო.

**როდის გადასწყდება ომის საქმე.**

საქმეში ჩახედული ავსტრიელი დიპლომატები ირწმუნებიან, რომ მომავალ კვირაში გადაწყდება იქნება ომი, თუ არაო.

**დიპლომატიური მოლაპარაკება**

ვენასა და ბერლინს შუა გამართეს უმავთულო ტელეგრაფი.

ავსტრიის დიპლომატთა წრეებს სრულობით არ მოეწონათ რუსეთის ნოტა, რომელიც მოითხოვს, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას საკითხი საერთაშორისო კონფერენციას გადაეცემა განსახილველადო. დიპლომატები ამტკიცებენ, რომ ეს ნოტა არ შეესამება რუსეთის წინანდელ განცხადებებს და იმ შეთანხმებას, რომელიც ბუსლოვში შეკრეს ბარონ ერენტალმა და იზვოლსკიმაო.

5 მარტს სერბიის ელჩი ორჯელ ხანგრძლივ ესაუბრა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს ჩარიკოვს. ამ საუბარს დაესწრო ინგლისის ელჩი.

**„ომი აუცილებელია".**

ავსტრიის პარლამენტის წრეებში ომი აუცილებლად მიაჩნიათ.

# მოწერილი ამბები

**ჭიათურა.** როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას. გამგეობამ მოაწყო ჩვენი მწერლების გაცნობის საქმე—საღამოობით კითხულობენ ამ მწერლების ნაწერებს. პირველად ეგ. ნინოშვილიდან დაიწყეს, რომლის ნაწარმოების კითხვაც უკვე დაამთავრეს. ეხლა კითხულობენ დ. კლდიაშვილის მოთხრობებს. წაკითხულ იქმნა აგრეთვე რამდენიმე ლექცია სხვა და სხვა თემებზე. ამ უკანასკნელად წაკითხულ იქმნა ორი ლექცია, პირველი—27 თებერვალს ა. მითაიშვილის მიერ შემდეგ თემაზე „ე. ნინოშვილი როგორც ბელეტრისტი" რადგან ნინოშვილის თხზულებები სულ ახალი წაკითხულია ამიტომ ლექციამ ძლიერ დააინტერესა საზოგადოება. მითაიშვილმა ლექცია ნინოშვილის ბიოგრაფიით დაიწყო. ამის შემდეგ მოკლე მიმოხილვა გააკეთა ჩვენი მწერლობის იმ ხანისა, რომელშიდაც დაიწყო თვისი სამწერლო მოღვაწეობა ე. ნინოშვილმა. ამას მოჰყვა ნინოშვილის თითქმის ყველა მოთხრობების შინაარსის გადმოცემა და ზოგიერთ იმის გმირის ახსნა-განმარტება. ლექტორმა ძლიერ ცოტა დრო მოანდომა ნინოშვილის ნაწარმოების საერთო ახსნა-განმარტებას, ასე რომ მითაიშვილის ლექცია უფრო მოკლე შინაარსის გადმოცემა იყო ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა, ვიდრე მისი გარჩევა.

მეორე ლექცია წაიკითხა 1 მარტს გ. ჭუმბურიძემ კაცობრიობის კულტურის ისტორიიდან. ლექტორმა გააცნო საზოგადოებას ის ევოლიუცია, რომელიც განვლო კაცობრიობამ თვის არსებობის პირველ საფეხურიდან. შემდეგ შეეცადა ისტორიაში პიროვნების როლის სიდიადეს დასაბუთებას. ჭუმბურიძე კიდევ განაგრ-

---

პარლამენტიო! ან და იმითი მართლულობენ თავს—ხალხმა გაიგოს რომ მთავრობას კარგი არა სურს რა ხალხისათვის, რადგან იმის წარმომადგენლებს გარედ რეკავსო! დალოცვილები,—ხალხმა მაშინ უკეთ არ იგრძნო, ვისაც რა სურდა მისთვის, როცა აიკლეს დაააწიოკეს! მერწმუნეთ, ბევრი ისე თუ იტყვის თორემ დიდ ყურადღებას არ მიაქცევს, ვიღაცა კარლო ჩხეიძეს გარედ გამოაგდებენ თუ არა. ხოლო როცა ხალხს დაჰპირდები, რომ პარლამენტი გაგაბედნიერებსო და სამი წლის შემდეგ კი პირში-ჩალა გამოვლებული დარჩება,—რასაკვირველია გლეხების შიშით პეტერბურგიდან პატივცემული დეპუტატი შინ ველარ დაბრუნდება!.. ეჰ! ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს ვერ ხედავდეს წინდაწინვე, მაგრამ ხან და ხან კაცი, მეტადრე რუსეთში განგებ იბრმავებს თავს, „ავოს" თვალ დახუჭულმა რაიმე სიკეთე მოუხვეჭოს ხალხსაო. ეს „ეგებ". რუსეთში არა თუ ხალხს, რევოლიუციონერებსაც ყოველთვის ახასიათებდა, და „ავოსს" კიდევ არა უშავდარა, რომ **ტრაბახით** უსაშინელესი ვნება არ მოეტანათ რევოლიუციისათვის!..

ოსმალეთის პარლამენტი სულ სხვაა. იგი რევოლიუციის შვილია. სულ სხვა საკითხია, თუ როგორი იყო ოსმალეთის რევოლიუციის პროცესსი. ფაქტი ის არის, რომ პარლამენტი დაარსდა რევოლიუციის, „ჰურიეთის" შემდეგ, ჯერ რეაქციის ნასახიც არსადა სჩანს, და ამიტომაც პარლამენტს შეუძლიან ნამდვილი საკანონმდებლო ორგანო იყოს. ნუ დავივიწყებთ ამასთანავე, რომ რუსეთის რეფორმები და ოსმალეთისა ერთსა და იმავე სიბნელეს წარმოადგენენ, რუსეთის საზოგადოება ჰომოგენურია, რუსეთის ერები აგრეთვე უმეტეს ნაწილად ტერიტორიის მქონე ერებს წარმოადგენენ. თვით რუსეთის ხალხი—უდიდესი ქრისტიანობის მმოსავი მასსა. ოსმალეთში კი არეულ-დარეულია სარწმუნოება და ეროვნებანი, თვით ოსმალეთის ხალხი ნახევარზედ ნაკლებია ოსმალეთში, აგრეთვე მუშაობის სუსტის უნარის მქონე. ამიტომაც რუსეთში რომ ოსმალეთის პარლამენტი იყოს—რეფორმები მალე განხორციელდება, ოსმალეთში კი რომ იყოს რუსეთის პარლამენტი—ვერაფერსაც ვერ გააკეთებდა და ერთი პურიშკევიჩი საკმარისი იქნებოდა, რომ რეფორმების მაგიერ საზოგადო სისხლის ღვრა მომხდარიყო და მთელი იმპერია დაღუპულიყო. ამიტომაც ოსმალეთის პარლამენტს უდიდესი ვალი აძევს: არა „რეფორმები", არამედ რეორგანიზაცია მთელის ოსმალეთის საზოგადოებისა, რომელიც დამოკიდებულია განსაკუთრებით ეროვნულ საკითხისა და სჯულის საკითხის რაციონალურად გადაწყვეტაზედ ვინ იცის, პარლამენტარიზმა წუთი-სოფელი არ მოსჭამა, იქნებ დროთა ვითარებაში მართლაც „განახლდეს" ოსმალეთი, და არა ისე, როგორც საზოგადოდ აკერიათ ხოლმე ენაზედ ლამაზი სიტყვა „განახლება". მე კი პირადად დიდი იმედი არა მაქვს. ყოველ შემთხვევაში მომავალი გვიჩვენებს ყველაფერს. ერთს კი ვიტყვი—თუ ოსმალომ ფანატიზმსა და ზარმაცობას თავი არ დაანება—ოსმალეთის იმპერიის დაშლა აუცილებელი იქნება შინაგან საზოგადოებრივ გახრწნილების გამო. მაგრამ დაანებებო? ყოველ შემთხვევაში მალე არა. და ეს არის, რაიცა მე ცოტა პესიმისტად მხდის ოსმალეთის შესახებ.

**უსახლ-კარო.**

(შემდეგი იქნება)

ძობს ამ ლექციას. ამის შემდეგ ჩვენის ფიქრით სასურველი იქნება ამ ლექციის აწონ-დაწონვა. ამ ორ ლექციაზე საზოგადოდ ბევრი რ... ს თქმა შეიძლებოდა, რომ ისინი აქ ჭიათურაში და აქაურ საზოგადოებისათვის არა ყოფილიყო წაკითხული: აქაურ საზოგადოებისათვის ასეთ ლექციებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვაგონოთ ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, რომ ნუ დაიზარებს შრომას და საკვირაო და პირველ-დაწყებითი სკოლები დაარსოს, რასაც დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან ადგილობრივ მუშებისათვის.

„რომ იტყვიან—გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწევაო", სწორედ ასეთია დღეს ს. სვერის გლეხების საქმე. ამ საერთო კრიზისისა და უფულობის დროს მათ ერთი უბედურებაც დაატყდათ თავზე. 26 თებერვალს აქ სახლი დაუწვეს ადგილობრივ მცხოვრებს ლ. წერეთელს, რა თქმა უნდა, კერძო მტრობით, ზარალი შეფასდა 22,000 მანეთად. ამ ფულს, რასაკვირველია, სოფელს გადაახდევიებენ. თვითეულს 250 მ. შეჰხვდება ეს კი მათ ცოცხლად დამარხვას უდრის. ჯერ-ჯერობით 30 კაცია დაჭერილი ამ საქმეზე.

როგორც გადმოგვცეს, ცნობილი ყაჩაღი ი. ცუცქირიძე 2 მარტს მოუკლავს პოლიციას.

**ჭიათურელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** ქუთაისის დრამატიულ დასის ამხანაგობის სეზონი დაიწყო ქუთაისს 1908 წლის 12 ოქტომბერს და დასრულდა 1909 8 წლის თებერვალს. ამხანაგობაში ირიცხებოდნენ: ქ-ნნი ანდრონიკაშვილი ე. (22 იანვრიდან სეზონის დამლევამდე), დავითაშვილი წ. (სეზონის დაწყებიდან მხოლოდ 21 დეკემბრამდე მოსკოვს გამგზავრების გამო), პოანტენ ა., ქილარჯიშვილი მ. (9 ნოემბრიდან 16 ნოემბრამდე), ურბნელი გ. (28) დეკემბრამდე), ჩიქოვანი გ. (21 დეკემბრამდე) ბ-ნნი ანდრონიკაშვილი კ. (7 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე), ბარველი ივ., გუგაშვილი ა., დადიანი შ., ზარდალიშვილი ი., ზედგინიძე პ., კორიშელი პ., მურუსიძე ა., ყალაბეგიშვილი ა. და ჩარკვიანი გრ., მთელი სეზონის განმავლობაში, ჩამოთვლილთა გარდა, სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა გასტროლიორებმა: ქ-ნთ ტ. აბაშიძე („ჯამბაზები"), ნ. გაბუნია-ცაგარლისამ („მელანიას ოინები"), ე. მესხმა („მარგარიტა გოტიე", „ღალატი", „ჩერჩეტი" და „ადრიენნა ლეკუვრერ"), ნ. ჩხეიძემ („და-ბეატრისა"); ბ-ნთ ვ. აბაშიძემ („პარიზის ღარიბ-ღატაკნი"), ნ. გოცირიძემ (სრულიად უსასყიდლოდ, „მელანიას ოინები"), ვ. გუნიამ („ღალატი"), კ. მესხმა „მადამ სანჟენ"). აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს სხვა და სხვა დროს შემდეგმა პირებმა: ქ-ნთ ე. აბაშელმა (6-ჯერ), დ. ივანიძემ (12) ჯერ), და ნ. ქ ჯაიამ (6-ჯერ); ბ-ნთ ვ. აბულაძემ (3-ჯერ), ა. ბოჭორიშვილმა (5-ჯერ, ერთხელ უსასყიდლოდ), ვლ. სანიკიძემ (7-ჯერ), ა. ჯაყელმა (8-ჯერ); სრულიად უსასყიდლოდ) ქ-ნთ ვ. დეისაძემ (4 ჯერ), ნაზარელმა ეკ. (1-ჯერ), უცხოელმა (ფსევდ. 1-ჯერ) და ივანიძის პატარე თინამ (2-ჯერ); ბ-ნთ მ. ამირაჯიბმა (1-ჯერ), ვ. ბალანჩივაძემ (1-ჯერ), ვ. გარეჯელმა (1-ჯერ), ზარდალაშვილმა ივ. (1-ჯერ), მუმლაძემ გ. (6-ჯერ), ნარეკაშვილმა დ. (5-ჯერ) ჩარკვიანმა კ. (1-ჯერ), ჭელიძემ ანდრ. (3-ჯერ), ჭელიძემ ს. (2-ჯერ).

ამ გვარად მთელის სეზონის განმავლობაში, თუმცა სხვა და სხვა დროს, ამხანაგობაში ითვლებოდა სულ 16 კაცი. ყველა წარმოდგენებზე კი მონაწილეობა მიუღია, კვლავ სხვა და სხვა დროს, 40 კაცს.

სეზონის განმავლობაში შეუსრულებიათ ქ-ნთ ანდრონიკაშვილს ე.—3 როლი, დავითაშვილს ნ.—21 რ., პოანტენს ა. 22 რ., ურბნელს გ.—9 რ., ბ-ნთ ანდრონიკაშვილს კ.—5 რ., ბარველს თ.—25 რ., გუგაშელს ა.—19 რ., დადიანს შ.—24 რ., ზარდალიშვილს ი. 25 რ., კორიშელს პ, 23 რ., მურუსიძეს ა.—27 რ., ყალაბეგიშვილს ა.—24 რ., ჩარკვიანს გრ.—22 რ.,

მთელის სეზონის განმავლობაში გაიმართა 23 წარმოდგენა. ახალი პიესა 11 იყო: მეტერლინკის „და-ბეატრისა", კ. მესხის „მელანიას ოინები", ფონ-შენტანის „ჯამბაზები". შ. დანიანის „როს ნადიმობდენ"... მეტერლინკის „მონნა-ვანნა", ფალკოვსკის „წამხდარი ცხოვრება", ბიერნსონის „ხელთათმანინ", ჰერცლის „ხალხის სიკეთე" (2-ჯერ), დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი", ირეთელის „დამარცხებულნი" და იფულდის „ჩერჩეტი". ისტორიული, ქართველების ცხოვრებიდან ოთხი პიესა იყო: დ. ერისთავი „სამშობლო" (2-ჯერ), აკაკის „თამარ-ცბიერი", მისივე „პატარა კახი" და სუმბათაშვილის „ღალატი"; ისტორიული, უცხოელთა ცხოვრებიდან—3. სარდუს „მადამ სანჟენ", მონტის „კაი გრაკხ" და სკრიბის „ადრიენნა ლეკურფრერრ"; ძველი პიესებთაგან კი წარმოდგენილ იქნა—3: ბეიერლეინის „სამხედრო ბანაკში", „პარიზის ღარიბ-ღატაკნი" და დიუმას „მარგარიტა გოტიე".

შემოსავალ-გასავალი მთელი სეზონისა ასეთი იყო: ოქტომბერი: „და ბეატრისა" შემოსავალი 443 მან. 35 კ., ხარჯი 292 მ. 63 კ.; „სამხედრო ბანაკში" შემ. 375 მ., ხარჯი 300 მ.; „სამშობლო" შემოს 370 მან. 37 კ., ხარჯი 169 მან. 62 კ., „მელანიას ოინები" შემ. 317 მ., ხარჯი 242 მ.; „პარიზის ღარიბ-ღატაკნი" შემ. 395 მ, ხარჯი 295 მ. ნოემბერი: „მადამ სან-ჟენ" შემ. 282 მან. 7 კ., ხარჯი 175 მ. 79 კ., „თამარ-ცბიერი" შემ. 143 მ 58 კ., ხარჯი 79 მ. 40 კ.; „პატარა კახი" შემ. 159 მ. 57 კ., ხარჯი 87 მან.; „ჯამბაზები" და „როს ნადირობდენ" შემ. 165 მან. 68 კ., ხარჯი 156 მან. 30 კ.; „მონნა-ვანნა" შემ. 136 მ. 54 კ., ხარჯი 92 მ. 34 კ.; „სამშობლო" შემ. 136 მ. 10 კ., ხარჯი 90 მან. 75 კ.; „წამხდარი ცხოვრება" შემ. 175 მან. 82 კ., ხარჯი 105 მან. 53 კ. დეკემბერი: „კაი გრაკხ" შემ. 140 მ. 83 კ., ხარჯი 87 მ. 50 კ.; აკაკის დღე შემ. 503 მან. 30 კ., ხარჯი 290 მ. 82 კ.; „ხელთათმანი" შემ. 112 მ, 51 კ., ხარჯი 75 მ. 80 კ.; „ხალხის სიკეთე" შემ. 67 მ. 70 კ., ხარჯი 87 მ. 70 კ. იანვარი: „ხალხის სიკეთე" შემოს. 245 მ. 14 კ., ხარჯი 110 მ. 80 კ.; „დანაშაული და სასჯელი" შემ. 223 მან, ხარჯი 159 მან.; „მარგარიტა გოტიე" შემ. 370 მ. ხარჯი 152 მ.; „დამარცხებულნი" შემ. 225 მ. 56 კ., ხარჯი 105 მ. 56 კ.; „ღალატი" შემ. 577 მან. 80 კ., ხარჯი 292 მ. 11 კ.; თებერვალი: „ჩერჩეტი" შემოს. 296 მან. 36 კ., ხარჯი 147 მან. 50 კ.; „ადრიენა ლეკუფრერ" შემ. 162 მან. 10 კ., ხარჯი 87 მ. 45 კ

ამ რიგად შემოვიდა სულ 5924 მ. 34 კ., ხოლო დაიხარჯა 3,368 მ. 60 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 2240 მან. 79 კ

ამხანაგობასა ჰქონდა 90 მარკა 3-ს კატეგორიად დაყოფილი. პირველ კატეგორიას ეკუთვნოდა 9, მეორეს 7 და მესამეს 5. ასე რომ სეზონის განმავლობაში პირველ კატეგორიაში მყოფს რგებია 224 მ. 01 კ., მეორეს 174 მ. 23 კ. და მესამეს 124 მ. 45 კ. სეზონის განმავლობაში ამხანაგობამ აგრეთვე ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების დახმარებით შეიძინა 192 მ. 20 კ. ტანისამოსი. 60 მ. გაიღო დრამატიულმა საზოგადოებამ და დანარჩენი დაახარჯა ამხ.-მ.

ამას გარდა ამხ.-ს მიერვე გამართული იყო ბათუმში, 6 დეკემბერს ერთი წარმოდგენა (დ. ერისთვის „სამშობლო"). შემოსავალი იყო 270 მ. ხარჯი 155 მ. 72 კ. ამხ.-ს დარჩა 114 მ. 28 კ.

დასასრულ, არ შეიძლება ამხ.-ს სახელით გულწრფელი მადლობა არ გადაუხადო ქუთაისის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც წლევანდელს სეზონში მხარი დაუჭირა ჩვენს ახალგაზდა მუშაკებს, არად მიაჩნია მისი ბევრ გარეშე მიზეზთა მიერ გამოწვეული სიმცირე და სისუსტე და თავისი საქმე ბოლომდის პირნათლად მიაყვანინა.

ამხ.-ს მინდობილობით **შალ. დადიანი.**

## საზღვარ-გარედ

### იაპონიის ფლოტის გაძლიერება.

იაპონიის საზღვაო მინისტრმა ვიცე-ადმირალმა საიტომ იაპონიის პარლამენტს საინტერესო ცნობები წარუდგინა იაპონიის მებრძოლ ფლოტის შესახებ.

იაპონიის ფლოტში ამ ჟამად ითვლება 166 მებრძოლი გემი; რუსეთის ომის გამოცხადების წამს კი ითვლებოდა 157 გემი. ჯავშნოსნების რიცხვი ერთიორად და კიდევ მეტადაც მომატებული: ეხლა 13 ჯავშნოსანია. 1905 წელს კი იყო სულ 6. უმატნია ჯავშნიან კრეისერების რიცხვსაც: 8-ს მაგივრად ეხლა 12-ა. წვრილ კრეისერებისა და ნაღმოსნების რიცხვი თითქმის უცვლელადაა დატოვებული. ამ ჟამად ამთავრებენ ჯავშნოსანს „სატუმა"-სა და ჯავშნიან კრეისერს „იბუკი"-ს. ეს ორივე ახალი გემი მეტად უზარმაზარი გემებია: „სატუმა"-ს 19,200 ტონა წყალ-წყვა აქვს, „იბუკი"-ს 14,700 ტონა. ეს ორი გემი უკვე ჩარიცხულია ფლოტის სიაში. ამას გარდა წყალში ჩაუშვეს ჯავშნოსანი „აკი" (19,200 ტონა) და ჯავშნიანი კრეისერი „კურამა" (19,200 ტონა) და უკვე შეუდგნენ მათ დამთავრებასა და შეიარაღებას. მოკლე ხანში წყალში ჩაუშვებენ 4 კრეისერს და რამდენსამე წყალ-ქვეშ მავალ ნავს.

### ინდოელი რევოლიუციონერები ლონდონში.

ინდოელი რევოლიუციონერები იძულებულნი იყვნენ ინდოეთიდან საზღვარ-გარედ გადასახლებულიყვნენ და უცნაური ის გახლავთ, რომ მათ თავი შეუფარებიათ სწორედ იმ ინგლისის სატახტო ქალაქში, რომელსაც ისინი ასე გამწვავებით ებრძვიან.

ინდოელი ემიგრანტები, როგორც რევოლიუციონერები ისე სტუდენტები, უმთავრესად ცხოვრობენ ლონდონში. ამ ემიგრანტებს თვალ-ყურს ადევნებს ინგლისის პოლიცია, მაგრამ მაგინც აძლევს ლონდონში ყოფნის ნებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ინგლისში. ინდოელ სტუდენტებისა და რევოლიუციონერების რიცხვი ლონდონში აღემატება 600 კაცს. ეს ამოდენა ხალხი —სულ ღარიბი, ცუდად ჩაცმულია, მაგრამ ამავე დროს ბეჯითად სწავლობს მეცნიერებას და მხნედ ჰბეჭდავს ინდოეთისათვის შესაფერ შინაარსის წიგნებს. პოლიციის აზრით, ეს რევოლიუციონერი ასალგაზდობა მეტად წყნარი და კარგი ზნეობისაა კერძო ცხოვრებაში, მაგრამ მეტს-მეტად საშიშია თავის ფანატიკურ თავ-განწირულობით. პოლიცია ინდოელ ემიგრანტებს ხშირად უდარებს წინანდელ რუსის რევოლიუციონერებს.

ინდოელ რევოლიუციონერების მე- („თვით-მმართველობა") გამომცემელს; ეს გაზეთიც ლონდონში გამოდის. ჩანდრა ვალი ჟელა-ხან განთავისუფლდა ინდოეთის ერთ-ერთ საპატიმროდან, თაურად ლონდონში ითვლება ინდოურ რევოლიუციონერ გაზეთის რედაქტორი შიანჯი კრიშნავიმა. საინტერესოა, რომ მისი რევოლიუციონური გაზეთ „ინდიან სოციოლოჯისტი" თავისუფლად გამოდის ლონდონში. დიდი გავლენა აქვს ინდოელ რევოლიუციონურ წრეში, აგრეთვე ჩანდრა ვალს, ახალ რევოლიუციონურ გაზეთ „სვარატი"-ს სადაც იგი დიდ ხნს იჯდა, და თავისი მოქმედება უფრო უშიშარ ადგილას — ლონდონში გადაიტანა. ინდოელი რევოლიუციონერები კარგად მოეწყვნენ ლონდონში და საკუთარი სახლიც კი შეიძინეს. ამ „ინდიან ჰოუზ"-ში (ინდოეთის სახლი) ისინი იკრიბებიან ახალ რევოლიუციონურ პლანების შესადგენად... ინგლისის წინააღმდეგ... ესეთი ამბავი მხოლოდ ინგლისშია შესაძლებელი...

## რუსეთი

**✦ რუსეთის საიდუმლო პოლიცია უცხოეთში.** გაზეთ „რეჩს" პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ, რუსეთის საიდუმლო პოლიციის უფროსად პარიზში კომისსარივი დაინიშნაო. როგორც ვიცით, უცხოეთში რუსეთს პოლიციას სულ ოთხი გამგე ჰყავს. აზეფის საქმის გამომჟღავნების შემდეგ ყველამ თავი დაანება სამსახურს. პოლიციის დეპარტამენტმა მარტო ერთი კანდიდატი იშოვა. დანარჩენი სამ ვაკანსიაზე ვისაც მიმართეს, ყველამ უარი განაცხადა.

**✦ გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯა.** როგორც ვიცით, 1905—6 წლებში ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა გაუსამართლებლად რამდენიმე ახალგაზრდა დაახვრეტინა. ნაფიც ვექილთა ერთმა ჯგუფმა ამაზე საჩივარი აღძრა სენატში. სენატის წევრები ვერ შეთანხმდნენ და იუსტიციის მინისტრს გადასცეს საბოლოოდ გადაწყვეტილებისთვის. ეხლა, როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, იუსტიციის მინისტრს ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ესეთი მოქმედება კანონიერად უცვნია, გენერალ-გუბერნატორმა ხელმწიფე-იმპერატორს ყველაფერი წინდაწინვე მოახსენა რაიც საჭიროაო.


პირველი კერძო სამკურნალო [illegible]

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—43)



## სამკურნალო

**გარედან მოსიარულეთათვის ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**

რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.

**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.

**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.

**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.

**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—12)



# I მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ I მანეთიდან

# ხელის მაშინები 25 მანეთიდან

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (1—გ.ჟ.—15)



# პროვოდნიკის

# ამხანაგობა

## რიგაში

1888

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**● იყიდება ნარდად და ცალობით: ●**

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ ოფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

# ცალობით ვაჭრობა ღედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა



საქციონერო საზოგადოება

## „გრამოფონი"





**ტფილისის განყოფილება, გოლოვინის პროსპექტი, 9,** ნებას აძლევს თავის თავს, მოაგონოს როგორც პატივცემულ მუშტარს, ისე ყველა იმას, ვისაც არა გაუგონია რა მე-XX საუკუნის ახალ გამოგონებაზე—ხმის ამომცემზე, რომ **ყველა ოჯახისთვის კმაყოფილებისა და სიხარულის მომგვრელი არის.**

## გრამოფონი

საზოგადოების ფირფიტებით, რომლებზედაც დახატულია საქარხნო ნიშანი

## „მწერავი ანგელოზი".

მომავალ დღესასწაულებისა გამო ვურჩევთ ყველას შეიძინოს „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი", როგორც საუკეთესო თანამედროვე საჩუქარი.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

აპარატები არის 30 მანეთიდან დაწყებული 100 მან და უფრო ძვირიც: ფირფიტები 75 კაპ.-დან 3 მ.ნ. და უფრო ძვირი.

ვურჩევთ ყველას შეიძინოს მთელი კომპიტეკი ფირფიტებისა, რომლებშიაც სავსებით არის ასრულებული მთელი ოპერები და ოპერეტები, აგრეთვე ცეკვა, რაიცა შეძლებას აძლევს ყველას თავის ოჯახში მოისმინოს ოპერა ან ოპერეტა ან და საორკესტრო მუსიკაზე გამართოს საცეკვაო საღამო.

**მოგვყავს აქვე ის ნაწარმოებნი; რომლებისაც სრული კომპლექტებია:**

| საოპერეტო | საოპერო: | საცეკვაო: |
| --- | --- | --- |
| „ღ ა მ უ რ ა" | „ფ ა უ ს ტ ი" | „შაკონ" |
| „მხიარული ქვრივი" | „რუსლან და ლიუდმილა" | „ჩ ი ნ უ რ ი" |
| „პრინცესსა დოლარებისა" | „პიკოვაია დამა" | „ლეკური" |
| | „ევგენი ონეგინი" | ცეკვა „ზეც" და სხვა. |

არის მრავალი ფირფიტა ადგილობრივ სიმღერებისა, ცალ-მხრივი და ორ-მხრივი.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საქარხნო ნიშანს მხოლოდ ეს ნიშანია იმის მაჩვენებელი, რომ ფირფიტა კარგია და არა ყალბი.

**პრეისკურანტები**, კატალოგები, სიები, აგრეთვე ყველა დაბეჭდილი მასალა რიგდება და იგზავნება უფასოდ.

მსურველს საზოგადოების სადგომში უფასოდ შეუძლიან მოისმინოს ფირფიტის დაკვრა.

**მაღაზიასთან სახელოსნოა. შეკეთება სულ იაფად შეიძლება.**

(10—ხალ.—3)


სტამბა „სინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**